

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება1

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება2

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება3

სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება4

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია5

2. მომზადების საფუძველი5

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა6

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები10

5. შემოსავალი სწავლებიდან10

6. შრომის ანაზღაურების ხარჯი11

7. საიჯარო ქირა11

8. საკომისიო ხარჯი11

9. სხვა საოპერაციო ხარჯი11

10. ძირითადი საშუალებები12

11. არამატერიალური აქტივები12

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები13

13. ფული და ფულის ეკვივალენტები13

14. კაპიტალი13

15. საგადასახადო ვალდებულება13

16. მიღებული სესხები13

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები14

18. პირობითი ვალდებულებები14

19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან15

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები15

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი“-ს მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი“-ს (შემდგომში უნივერსიტეტი) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაში მოცემული მომზადების საფუძვლის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ ვართ უნივერსიტეტისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები – ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, სადაც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია უნივერსიტეტის მიერ იმისთვის რომ დააკმაყოფილოს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამის გამო, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ იყოს შესაფერისი სხვა მიზნებისთვის.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე მეორე შენიშვნაში მოცემული მომზადების საფუძვლის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ვალდებულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა უნივერსიტეტს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვირვებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს უნივერსიტეტის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან უნივერსიტეტის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ უნივერსიტეტის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა უნივერსიტეტის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება უნივერსიტეტი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

21 თებერვალი, 2025

თბილისი, საქართველო.

- ვაფასებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ი. ანთონიძე

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

21 თებერვალი, 2025

თბილისი, საქართველო.

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი“

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024
შემოსავალი სწავლებიდან	5	2,713,489
შრომის ანაზღაურების ხარჯი	6	(1,091,843)
საიჯარო ქირა	7	(631,229)
საკომისიო ხარჯი	8	(119,402)
სხვა საოპერაციო ხარჯი	9	(274,384)
საოპერაციო მოგება		596,631
ფინანსური ხარჯი	16	(111,535)
საკურსო მოგება		19,628
მოგება დაბეგვრამდე		504,724
მოგების გადასახადი		-
წლის სრული შემოსავალი		504,724

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2025 წლის 21 თებერვალს:

გიორგი ხუროძე
პრეზიდენტი

ნატა კალანდაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „ადმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი“

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეული ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024
შემოსავალი სწავლებიდან	5	2,713,489
შრომის ანაზღაურების ხარჯი	6	(1,091,843)
საიჯარო ქირა	7	(631,229)
საკომისიო ხარჯი	8	(119,402)
სხვა საოპერაციო ხარჯი	9	(274,384)
საოპერაციო მოგება		596,631
ფინანსური ხარჯი	16	(111,535)
საკურსო მოგება		19,628
მოგება დაბეგვრამდე		504,724
მოგების გადასახადი		-
წლის სრული შემოსავალი		504,724

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2025 წლის 21 თებერვალს:


გიორგი ჯუღოძე
პრეზიდენტი




ნატა კალანდაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	10	320,442
არამატერიალური აქტივები	11	48,382
სულ გრძელვადიანი აქტივები		368,824
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური მარაგები		1,496
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	368,709
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	1,229,273
სულ მიმდინარე აქტივები		1,599,478
სულ აქტივები		1,968,302
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	14	1,274,528
დაუფარავი ზარალი	14	(1,119,106)
სულ კაპიტალი		155,422
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხი	16	423,351
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		423,351
მიმდინარე ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	16	387,957
საგადასახადო ვალდებულებები	15	921
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	1,000,651
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,389,529
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,968,302

5-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი“

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2024	731,335	(1,623,830)	(892,495)
წლის სრული შემოსავალი	-	504,724	504,724
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
საწესდებო კაპიტალის ზრდა	543,193	-	543,193
31 დეკემბერი 2024	1,274,528	(1,119,106)	155,422

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი“

სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
მოგება დაბეგვრამდე	504,724
არაფულადი კორექტირებები:	
ცვეთა და ამორტიზაცია	44,890
ფინანსური ხარჯი	111,535
საკურსო მოგება	(19,628)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის კორექტირებებამდე	641,521
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:	
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:	
ცვლილებები სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(1,127)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(144,029)
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო ვალდებულებებში:	
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	436,898
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	829
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	934,092
გადახდილი მოგების გადასახადი	-
გადახდილი პროცენტი	(111,535)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	822,557
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(170,477)
არამატერიალური აქტივის შესყიდვა	(3,874)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობაზე	(174,351)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
დაფარული სესხი	(345,427)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	543,193
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	197,766
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ექვივალენტების	845,972
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	344,669
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	38,632
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,229,273

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი“ (შემდგომში უნივერსიტეტი) როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაარსდა 2017 წლის 18 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. უნივერსიტეტის საიდენტიფიკაციო ნომერია: 404535810

ძირითადი საქმიანობა. უნივერსიტეტის საქმიანობას წარმოადგენს მომსახურება საგანმანათლებლო სფეროში. კომპანია სტუდენტებს სთავაზობს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, კ.აფხაზის ქ., N4, ხოლო ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N9

უნივერსიტეტის მეწილეები: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე, უნივერსიტეტის 100%-იან წილს ფლობდა შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ კომპანია თბილისში. თავის მხრივ შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ კომპანია თბილისში-ს დამფუძნებლები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	რეგისტრაციის ადგილი	წილი
ჰამლეტ ისაევი	აზერბაიჯანი	10%
თეიმურაზ ხუროძე	საქართველო	20%
ზაზა ნიშნიანიძე	საქართველო	30%
შპს რეალ ისთეით გრუპ (405446977)	საქართველო	40%

შპს რეალ ისთეით გრუპ-ის 100%-იანი წილის მფლობელია თეა ჭეიშვილი.

უნივერსიტეტს არ ყავს ერთი მაკონტროლებელი მხარე. შესაბამისად გადაწყვეტილებები მიიღება ერთობლივად.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე, უნივერსიტეტის პრეზიდენტია გიორგი ხუროძე.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქართველოში საქმიანობს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია მესამე შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა. მესამე შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია მცირე და საშუალო საწამომოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან (მსს ფასს-თან), გარდა შემოსავლების აღიარების პოლიტიკისა, რომელიც აღიარდება მას შემდეგ, როდესაც მოხდება სწავლების საფასურის მინიმუმ 50%-ის ოდენობის მიღება და შეთანხმდება სწავლების საფასურის გადახდის გრაფიკი.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმგვარად, რომ მენეჯმენტმა შეძლოს წარადგინოს უნივერსიტეტის ფინანსური ანგარიშგება, რათა დააკმაყოფილოს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამის გამო, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ იყოს შესაფერისი სხვა მიზნებისთვის.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს -ში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად გარდა ზემოთ მოცემული გამოწვევისა, წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს მსს ფასს-ის შესაბამის ფინანსური ანგარიშგების სრულ ნაკრებს, ვინაიდან აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს შესადარის მონაცემებს როგორც ამას მოითხოვს მსს ფასს სტანდარტი.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისათვის წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ უნივერსიტეტი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია უნივერსიტეტისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2024	2.8068	2.9306

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს და სხვა მოკლევადიან მაღალი სიხშირის ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საპენსიო შენატანები. 2019 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს

3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

დაუმთავრებელი მშენებლობა. დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება მოიცავს მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებულ მასალებს და შრომის ანაზღაურებას, იმ ძირითადი საშუალებების ცვეთას, რომელიც მონაწილეობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადებ ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
კომპიუტერული ტექნიკა	5-7
სამედიცინო-სასწავლო დანადგარები და ინვენტარი	5-12

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამას და წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. პროგრამულ უზრუნველყოფაზე დარიცხული ამორტიზაცია ასახულია ადმინისტრაციულ ხარჯებში, ხოლო ლიცენზიებზე დარიცხული ამორტიზაცია კაპიტალიზირდება მოპოვებული აქტივების თვითღირებულებაში.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

	სასარგებლო მომსახურების გადა
ჯგუფი	(წელი)
აკადემიური პორტალი	15
მარაგები. უნივერსიტეტის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს. არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას. წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გაუფასურება და სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა. განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. უნივერსიტეტის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება	

3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები, რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. უნივერსიტეტი შემოსავალს იღებს გაწეული საგანმანათლებლო მომსახურებიდან და აღიარებს მას შემდეგ, როდესაც მოხდება სტუნდენტის ჩარიცხვა და სწავლების საფასურის მინიმუმ 50%-ის ოდენობის მიღება და შეთანხმდება სწავლების საფასურის გადახდის გრაფიკი, რომელიც არ აღემატება სასწავლო სემესტრის ხანგრძლივობას. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა უნივერსიტეტის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს უნივერსიტეტის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის ;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ფულს და ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. სხვა მოთხოვნების გაუფასურებისთვის კომპანია იყენებს გაუფასურების ინდივიდუალურ მიდგომას.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ მოძველებას და ფიზიკურ ცვეთას. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. კომპანია გეგმავს გადახედოს დადგენილ სასარგებლო მომსახურების ვადებს მას შემდეგ რაც მოხდება ძირითადი საშუალებებისთვის რეალური ღირებულების, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულების დადგენა.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი სწავლებიდან

შემოსავალი სწავლებიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა ფასდაკლება	3,206,833 (493,344)
შემოსავალი სწავლებიდან	2,713,489

უნივერსიტეტი შემოსავალს იღებს გაწეული საგანმანათლებლო მომსახურებიდან და აღიარებს მას შემდეგ, როდესაც მოხდება სტუდენტის ჩარიცხვა და სწავლების საფასურის მინიმუმ 50%-ის ოდენობის მიღება და შეთანხმდება სწავლების საფასურის გადახდის გრაფიკი, რომელიც არ აღემატება სასწავლო სემესტრის ხანგრძლივობას.

ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით.

უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის ხარნგრძლივობა შეადგენს 6 წელს.

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. შრომის ანაზღაურების ხარჯი

შრომის ანაზღაურების ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024
აკადემიური პერსონალის ხარჯი	(924,524)
ადმინისტრაციის ხელფასის ხარჯი	(167,319)
სულ	(1,091,843)

7. საიჯარო ქირა

უნივერსიტეტი საქმიანობას ახორციელებს იჯარით აღებულ ქონებაზე, გამომდინარე იქიდან რომ აკადემიური საქმიანობა დაწყებულია 2023 წელს, უნივერსიტეტის სარგებლობდა საშეღავათო პერიოდით. საიჯარო ხარჯის სრული ოდენობით დარიცხვა დაწყებულია 2024 წელს.

8. საკომისიო ხარჯი

საკომისიო ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024
სტუდენტების მობილიზების საკომისიო ხარჯი	(238,608)
ჯარიმა პირობების შეუსრულებლობაზე	119,206
სულ	(119,402)

უნივერსიტეტი არარეზიდენტი სტუდენტების მოზიდვის მიზნით სარგებლობს საშუამავლო მომსახურებით გარკვეული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ, რომლის ფარგლებში მომსახურე იურიდიული და ფიზიკური პირები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ გარკვეული ოდენობის სტუდენტების მობილიზება. მომსახურების ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს ჯარიმებს პირობების შეუსრულებლობისათვის.

9. სხვა საოპერაციო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2024
ცვეთის ხარჯი	(44,890)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(38,800)
კომუნალური ხარჯი	(34,946)
პროფესიული მომსახურების ხარჯი	(24,337)
მივლინების ხარჯი	(18,456)
რემონტის ხარჯი	(16,400)
საპენსიო ხარჯი	(16,053)
სწავლებასთან დაკავშირებული ხარჯები	(14,902)
სამეურნეო ხარჯი	(7,718)
საბანკო მომსახურების საკომისიო	(6,626)
სარეკლამო ხარჯი	(5,755)
სხვა ხარჯი	(45,501)
სულ	(274,384)

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	კომპიუტერული ტექნიკა	სამედიცინო- სასწავლო დანადგარები და ინვენტარი	სულ
1 იანვარი 2024	71,353	100,903	49,212	60,014	281,482
შემოსვლა	95,063	72	73,140	2,202	170,477
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	166,416	100,975	122,352	62,216	451,959
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2024	(24,754)	(34,886)	(26,069)	(1,922)	(87,631)
ცვეთის ხარჯი	(11,237)	(13,918)	(14,585)	(4,146)	(43,886)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	(35,991)	(48,804)	(40,654)	(6,068)	(131,517)
საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2024	46,599	66,017	23,143	58,092	193,851
31 დეკემბერი 2024	130,425	52,171	81,698	56,148	320,442

11. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	აკადემიური პორტალი
1 იანვარი 2024	46,791
შემოსვლა	3,874
გასვლა/ჩამოწერა	-
31 დეკემბერი 2024	50,665
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი 2024	(1,279)
ცვეთის ხარჯი	(1,004)
გასვლა/ჩამოწერა	-
31 დეკემბერი 2024	(2,283)
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი 2024	45,512
31 დეკემბერი 2024	48,382

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024
მოთხოვნა სწავლებიდან	243,270
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	6,941
სხვა აქტივები	2,000
ფინანსური მოთხოვნები	252,211
წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	61,240
საგარანტიო თანხა	34,012
სხვა ავანსები	21,246
არაფინანსური მოთხოვნები	116,498
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბრუტო	368,709

უნივერსიტეტი ყოველი წლის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურებაზე აფასებს ინდივიდუალურად და ინდიკატორების იდენტიფიცირების შემთხვევაში აღიარებს გაუფასურების ანარიცხს.

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024
ბანკში არსებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	1,218,417
ბანკში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	10,856
სულ	1,229,273

14. კაპიტალი

უნივერსიტეტის კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალსა და დაუფარავ ზარალს.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მეწილეების მიერ საწესდებო კაპიტალში განხორციელებულია ფულადი შენატანი 543,193 ლარის ოდენობით.

15. საგადასახადო ვალდებულება

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

16. მიღებული სესხები

მიღებული სესხის წარმოადგენს საფინანსო ინსტიტუტსაგან მიღებულ სესხს აშშ დოლარში, წლიური 8.2% საპროცენტო განაკვეთით. სესხის ვადაა 2026 წლის ნოემბერი. სესხის მიზნობრიობას წარმოადგენდა არსებული სესხების რეფინანსირება, საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსება.

სესხის რეკონსილაცია შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2024
საწყისი ნაშთი	1,118,613
სესხის აღება	-

19.ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, ურთიერთდაკავშირებულად განიხილებიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეულ დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები შემდეგია:

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან:

	2024
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები და სხვა სარგებელი	147,241

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დამფუძნებლების შენატანმა საწესდებო კაპიტალში შეადგინა 108,366 ლარი.

შპს „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. მიღებული სესხები (გაგრძელება)	2024
სესხის გადახდა	(345,427)
პროცენტის გადახდა	(111,535)
საპროცენტო ხარჯი	111,535
საკუთსო სხვაობა	38,122
საბოლოო ნაშთი	811,308
სესხის გრძელვადიანი ნაწილი	423,351
სესხის მოკლევადიანი ნაწილი	387,957

მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებული აქტივების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

უზრუნველყოფის ტიპი	თავდების/მესაკუთრის დასახელება
უძრავი ქონება	“მეიდანზე ფროფერტი”
დანადგარები	შპს “აღმოსავლეთ დასავლეთ უნივერსიტეტი”
წილი	შპს “აღმოსავლეთ-დასავლეთ კომპანია თბილისში”
თავდებობა	ზაზა ნიშნიანიძე

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024
საიჯარო ვალდებულებები	510,860
სხვა ვალდებულებები	50,629
ფინანსური ვალდებულებები	561,489
საგარანტიო თანხა საშუაშალო მომსახურებაზე	315,765
სტუდენტებისგან მიღებული თანხები	123,397
არაფინანსური ვალდებულებები	439,162
სულ	1,000,651

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება უნივერსიტეტის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო.